განმანათლებლობის იდეის გავლენა რუსულ საზოგადოებრივ აზრზე
და რუსული ისტორიოგრაფია

XVIII საუკუნე ძველი ფეოდალური წესის ნგრევით და ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების შემდგომი განვითარებით აღინიშნა. ახალი საზოგადოება საჭიროებდა ახალ იდეოლოგიას. განმანათლებლობის იდეის მთავარი წყარო იყო საფრანგეთი, სადაც გამოიცა მონტესკიეს ,,კანონთა გონი'', დიდროს ფილოსოფიური აზრები, გამოდიოდა რუსოს, ჰელვეციუსის, ჰოლბახის, კენეს, ბომარშეს და სხვა ავტორთა ნაშრომები.

ისტორიული პროცესის შეფასებისას მთავარი საზომი იყო გონება და არა ღვთის ნება. პიროვნება, ინდივიდი ცხადდებოდა თავისთავად ფასეულად წოდებათა ფეოდალური კორპორაციებში ჩართვის გარეშე (წოდებრივი ფენები, საამქროები, გილდიები და ა.შ). ბუნებითი სამართლის თეორია აცხადებდა ადამიანებს დაბადებიდან თანასწორად, რაც გახდა პოლიტიკური თანასწორობისკენ სწრაფვის საფუძველი, ხოლო ხელშეკრულების თეორია არა მხოლოდ ,,ადგენდა'' სახელმწიფოს ჩამოყალიბების ახალ წესრიგს, არამედ ადამიანს აძლევდა უფლებას შეეცვალა სახელმწიფო წყობილება თუ ის არ პასუხობდა საზოგადოების კეთილდღეობის მოთხოვნებს. ნათლად იკვეთებოდა კეთილდღეობის მიღწევის გზაც ეს იყო ხალხის განათლება. საკუთარი ქვეშევრდომების ,,გონების გახსნა'' და ისტორიული პროგრესის უზრუნველყოფა ცხადდებოდა ბრძენი, ძლევამოსილი მმართველის ვალდებულებად. განმანათლებელთა იდეალი იყო განათლებული მონარქი გარშემორტყმული მრჩეველი-ფილოსოფოსებით. დიდი პიროვნების იდეა მტკიცედ დამკვიდრდა ფილოსოფიურ და ისტორიულ ნაშრომებში. ყველა ფრანგი განმანათლებელი გამოდიოდა ფეოდალიზმის, მისი წოდებრივი წყობის და იდეოლოგიის წინააღმდეგ, პირველ პლანზე გამოდიოდა კანონის წინაშე თანასწორობისთვის ბრძოლა, სინდისის და პოლიტიკური თავისუფლება.

წარსულისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებასთან ერთად იყო საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების შეცნობის მცდელობა, ბუნების კანონებთან ანალოგიებს განმანათლებლები ზოგჯერ საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის შესახებ მექანიკურ წარმოდგენებამდე მიჰყავდა, მაგრამ ამავდროულად ვითარდებოდა აზრი ბუნების და სოციალურ კანონზომიერებებს შორის ძირეული სხვაობის შესახებ. ციკლურობის შესახებ შუა საუკუნეების წარმოდგენების ნაცვლად, (ადამიანთა ყოფის მუდმივი ტრიალი) გაჩნდა სწავლება პროგრესის როგორც განუხრელი მოძრაობის შესახებ და ა.შ.

ფეოდალური წესრიგის მისი იდეოლოგიის კრიტიკა და უარყოფა, იტორიული პროცესის კანონზომიერების და პროგრესის იდეების გაჩენა ეს ყველაფერი უდიდესი სამეცნიერო მიღწევა იყო. XVIII საუკუნის განმანათლებლური ისტორიოგრაფიის სხვა ნოვაციაა ისტორიული ნაშრომების თემატიკის გაფართოება. ავტორთა თვალსაწიერში ხვდებოდა არა მხოლოდ სამთავრობი ქრონიკა და ხელმწიფეთა საქმეები, არამედ სხვადასხვა ადამიანების ყოფა, ვაჭრობის, ფინანსების, მიწათმოქმედების, ხელოსნობის, ზღვაოსნობის საკითხები, სამხედრო საქმე, მეცნიერების მიღწევები და ა.შ.

განმანათლებლობის იდეოლოგიის არსებითი თავისებურებაა უარყოფა შუა საუკუნეების დროინდელი თეორიების რჩეული ხალხების, ოთხი სამეფოს, ევროცენტრიზმის შესახებ. (გაჩნდა ინტერესი ინდოეთის, ჩინეთის სხვა ქვეყნების ისტორიების მიმართ).

განმანათლებლებმა ახალ საფეხურამდე აიყვანეს კვლევის წყაროთმცოდნეობითი მეთოდები, ისტორიული წყაროების კრიტიკა. ვოლტერი მოუწოდებდა ისტორიკოსებს მიემართათ არქივებისთვის, შეემოწმებინათ ისტორიული ცნობების სინამდვილე. დადგა დრო ლეგენდების უარყოფის და ა.შ.

ისტორიული ცოდნის პოპულარიზაცია. წყაროების შეკრება და გამოქვეყნება XVIII სკ II ნახევარში.

რუსული განმანათლებლობა დასავლეთის ლიტერატურის დიდი გავლენას განიცდიდა, (ვოლტერი, დიდრო, დ'ალამბერი, მაბლი, რუსო და სხვათა ნაშრომები). ფილოსოფიით და ისტორიით გატაცება განსაკუთრებული ეკატერინე II-ის დროს გახდა შესამჩნევი. გაჩნდა დიდი რაოდენობით ნათარგმნი ლიტერატურა, რომელიც აცნობდა მკითხველს მსოფლიო აზროვნების უახლეს მიღწევებს. ამასთან ქვეყნდებოდა კლასიკური ნაწარმოებები, ანტიკური ავტორების მემკვიდრეობა (ჰეროდოტეს ისტორია ა. ნარტოვის თარგმანი, ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობები რუსეთის ისტორიის შესახებ, შრიტერის გამოცემა). ძალიან ხშირად იბეჭდებოდა ენციკლოპედიური ხასიათის გამოცემები ცოდნის სხვადასხვა დარგში. ფ. პოლუნინის და გ. მილერის ,,რუსული სახელმწიფოს გეოგრაფიული ლექსიკონი'', ტატიშევის დასრულებული ,,ლექსიკონი რუსული ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური, სამოქალაქო'' და სხვა.

XVIII საუკუნის II ნახევარი მეცნიერებაში დილეტანტებისთვის და პატრიოტი მოყვარულებისთვის ხელსაყრელი დრო იყო. ისინი თხზავდნენ პიესებს წარსულის დარამატული სიუჟეტებით, უსისტემოდ აგროვებდნენ ძველ ნივთებს, მაგრამ ნამდვილად სასარგებლო იყო იშვიათი ნივთების თუ ძეგლების კოლექციონერობა, ასლების გადაღება, ისტორიული დოკუმენტების გამოცემა, ბიბლიოთეკების შექმნა.

რუსეთის ისტორიის მოყვარულის კარგი მაგალითია ალექსეი ივანეს ძე მუსინ-პუშკინი (1744-1817). ის იყო წმინდა სინოდის ობერ-პროკურორი, სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი და ამავე დროს ერთ-ერთი მსხვილი ბიბლიოთეკის და წერილობითი და მატერიალური ისტორიული ძეგლების კოლექციის მფლობელი.

მუსინ-პუშკინის გარშემო შეიკრიბა ქვეყნის მოყვარულების წრე (ბოლტინი, ელაგინი, ბანტიშ-კამენსკი, რუმიანცევი, ვორონცოვი) 1767 წელს ამ წრის წევრთა მცდელობებით გამოიცა ტომები ,,რუსეთის ისტორიის ბიბლიოთეკები'' (Библиотеки русской истории) რომელიც შეიცავდა ძვირფას ისტორიულ წყაროებს, მაგალითად რაძივილის და ნიკონის მატიანეებს (Радзивилловская летопись, Никоновская летопись) და სხვა. დედაქალაქის გარდა სიძველის მოყვარულები ქმნიდნენ თავიანთ ჯგუფებს სხვადასხვა ქალაქებში: არხანგელსკში, ყაზანში, ნიჟნი ნოვგოროდში.

კერძო წრეების გვერდით ისტორიის ცოდნის გავრცელების საქმეს ემსახურებოდა ოფიციალური სამეცნიერო გაერთიანებები. მას შემდეგ რაც 1755 წელს დაფუძნდა მოსკოვის უნივერსიტეტი, მის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე გაჩნდა ისტორიის კათედრა (უნივერსალური, რუსეთის, სიძველეების, ჰერალდიკის) ხოლო 1771 გაჩნდა თავისუფალი რუსული კრებები – ლიტერატურულ ისტორიული საზოგადოება, რომელიც ეწეოდა ,,რუსული ენის გამდიდრებას სასარგებლო თხზულებების და თარგმანების გამოცემის გზით'', ძველი რუსული და ისტორიული წყაროების გამოვლენით და გამოქვეყნებით.

XVIII საუკუნეში არსებითი ცვლილება ხდება საარქივო საქმის დარგში, პეტრეს პერიოდიდან დოკუმენტების საცავებს, საქმეთწარმოებას ეწოდებოდა არქივი. ეს იყო არამხოლოდ საქმიანი ქაღალდების შენახვის ცენტრი, აქ მიმდინარეობდა ისტორიული მასალის სისტემატიზაციის უზარმაზარი სამუშაოები. XVIII საუკუნეში გაჩნდა ისტორიული არქივებიც რომლებიც ინახავდნენ დოკუმენტებს, რომელთაც მართალია პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდათ, მაგრამ უდიდეს ფასეულობას წარმოადგენდნენ მეცნიერებისთვის და მკვლევართათვის. 1724 წელს გაჩნდა საგარეო კოლეგიის მოსკოვის არქივი. 1726 წელს იარაღის პალატის (Оружéйная палáта) არქივი, 1780 წელს ეკატერინე II ბრძანებით შეიქმნა ძველი საქმეების პეტერბურგის სახელმწიფო არქივი. 1782 წელს კი

მოსკოვის. არქივში დაშვება არ იყო ადვილი, მუშაობა და დოკუმენტის გამოქვეყნება შესაძლებელი იყო მხოლოდ ,,სანდო პირის" მეთვალყურეობის ქვეშ.

მნიშვნელოვანი წვლილი ისტორიულ მეცნიერების განვითარებში შეიტანა ცნობილმა განმანათლებელმა ნიკოლაი ივანეს ძე ნოვიკოვმა (1744-1818). განათლება მან მიიღო მოსკოვის საუნივერსიტეტო გიმნაზიაში, შემდეგ კი დამოუკიდებლად მიიღო ფართო ცოდნა ისტორიასა და ლიტერატურაში. 1762-68 წლებში ნოვიკოვი მსახურობდა იზმაილოვოს პოლკში, დათხოვნის შემდეგ ეწეოდა ინტენსიურ ჟურნალისტურ და საგამომცემლო საქმიანობას, გამოსცემდა გაზეთს: ,,მოსკოვის უწყებანი" და 11 ჟურნალს. ნოვიკოვი აკრიტიკებდა იმ დროინდელ თავადაზნაურობაში გავრცელებულ ,,გალომანიას" და ამ პოზიციიდან უდგებოდა ისტორიის შესწავლას.

ნოვიკოვის პოლიტიკური შეხედულებები გამსჭვალული იყო ლიბერალიზმით, ის გამოდიოდა კონსტიტუციური მონარქიის მომხრედ, მესამე წოდების პოლიტიკურ ცხოვრებაში და სახელმწიფო მმართველობაში ფართო მონაწილეობის სასარგებლოდ. საზოგადოებრივი პროგრესის ძირითად წყაროდ ნოვიკოვი თვლიდა განათლებას და პიროვნების ზნეობრივ აღზრდას.

განსაკუთრებულ ყურადღებას ცნობილი განმანათლებელი ანიჭებდა რუსული ისტორიის ძეგლების შეკრებას და გამოცემას. ეძებდა მათ კერძო კოლექციებში, სახელმწიფო და სამონასტრო არქივებში. მისი ორგანიზებით გამოიცა ,,ძველი რუსული ბიბლიოფიკა". 1773-75 წწ. გამოქვეყნდა ისტორიულ დოკუმენტების კრებულის 10 ტომი, 1788-1791 წწ. - კიდევ 20 ტომი. აქ შევიდა რუსეთის ისტორიის უამრავი წყარო კიევის დროიდან XVIII საუკუნემდე. დოკუმენტების მოძიება გამოქვეყნებაში ნოვიკოვს ეხმარებოდა გ. მილერი, მ. შერბატოვი, და სხვა ისტორიკოსები და არქივისტები. გამომცემელი დიდი ყურადღებით უდგებოდა წყაროების გამოცემას, არ უშვებდა მათ შესწორებას ან რედაქტირებას. გამოცემას ახლდა საძიებო მასალა, შენიშვნები, ქრონოლოგიური ცხრილები და ა.შ.

,,ბიბლიოფიკის" გამოცემამდე ნოვიკოვმა გამოსცა ,,ისტორიული ლექსიკონის მცდელობა რუსი მწერლების შესახებ" (1772) ეს იყო კულტურის მოღვაწეთა ერთ-ერთი პირველი ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი, მოიცავდა 317 მწერალს და სწავლულს X-XVIII სკ. აქ საუბარი იყო ნესტორზე, სილვესტერზე, შერბატოვზე, მილერზე, ლომონოსოვზე, ტატიშევზე.

მიხეილ მიხეილის ძე შერბატოვი (1733-1790) დაიბადა მოსკოვში, 13 წლის ასაკში გაამწესეს გვარდიაში, მაგრამ მალე 1762 წელს შესაბამისი მანიფესტით განთავისუფლდა სამხედრო სამსახურიდან. 1767 წელს გახდა დეპუტატი იაროსლავის თავადაზნაურობიდან ეკატერინე II (Наказ Екатерины II) კომისიაში ახალი დებულების შესადგენად. იქ ის გამოვიდა თავადაზნაურობის მმართველობის გაფართოების სასარგებლოდ, გამოდიოდა რანგთა ტაბელის წინააღმდეგ და იცავდა ბატონყმობას ნებისმიერი თავდასხმისგან. მიუხედავად იმისა, რომ შერბატოვი რაღაც დროს იყო კამერ კოლეგიის პრეზიდენტი რომელიც განაგებდა სახელმწიფოს ფულად შემოსავალს, შემდეგ სენატორი, ის არ გახდა ეკატერინეს ,,რეჟიმის" ქომაგი და გამოდიოდა მისი კრიტიკითაც კი. თავადი გმობდა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, უკანონობას, მექრთამეობას, ხაზინის ქურდობას, ფავორიტიზმს და ა.შ. ეს ყველაფერი ნათლად აისახა ბროშურაში ,,რუსეთში ზნეობის დაზიანების შესახებ" (О повреждении нравов в России). მართალია ეს ნაშრომი ცოტა ვინმესთვის თუ იყო ცნობილი სანამ XIX II ნახ. არ გამოაქვეყნა გერცენმა თავის თავისუფალ ტოპოგრაფში.

შერბატოვი განასხვავებდა სახელმწიფო მოწყობის ოთხ ტიპს: 1) მონარქისტული 2) არისტოკრატიული 3) დემოკრატიული (სახალხო) 4) თვითმპყრობელური (დესპოტური). ამასთან ნებისმიერ ფორმას ხალხის მართვის ის თვლიდა მმართველობის ცრუ ფორმად.

თვითონ დემოკრატიას უწოდებდა წესრიგს, რა დროსაც ხალხი იყენებს ხელისუფლებას აუცილებელი ბეგარისგან თავის დასაღწევად. დემოკრატია მისი აზრით ,,ავიწროვებს" სამართლიან ხალხს და გზას უხსნის გაიძვერებს (გაქნილებს). არისტოკრატიის მმართველობისას სახელმწიფო საქმეები აღსრულდება ,,გონიერი ხალხის ჯანსაღი მსჯელობით", მაგრამ არისტოკრატიის ინტერესები ხშირად სახელმწიფოს ინტერესებს სცდება, აქედან ისტორიკოსი ასკვნიდა, რომ ხალხი ,,არსად ისეთი უბედური არაა" როგორც არისტოკრატიის ხელისუფლებისას. საუკეთესო პოლიტიკურ წყობილებად აღიარებდა მონარქიას, როცა ხელმწიფე ეყრდნობა წარჩინებულ დიდებულებს და მუდმივად თათბირობს მათთან. ამასთან შერბატოვი დაუფარავი ანტიპატიით იყო განწყობილი თვითმპყრობელობის მიმართ, რა დროსაც ხდება კანონების და კანონიერების უგულებელყოფა.

შერბატოვის ეს შეხედულებები აისახა არა მხოლოდ პუბლიცისტურ, არამედ ისტორიულ ნაშრომებშიც. ისტორიით შერბატოვი დაკავდა მას შემდეგ რაც 1764 წელს მილერმა წარუდგინა ეკატერინე II-ს და იმპერატრიცამ მისცა თავადს უფლება მიეღო საჭირო მასალები საპატრიარქოს და ტოპოგრაფიული ბიბლიოთეკიდან, რომლებიც იყო მთავარი საცავი. ასევე ესარგებლა საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის არქივის დოკუმენტებით. 1768 წელს შერბატოვმა მიიღო ისტორიოგრაფის თანამდებობა, რომელიც ადრე მილერს ეკუთვნოდა და დავალება მოეწესრიგებინა პეტრე I-ის კაბინეტის არქივის ქაღალდები (გარდა ამისა გახდა სენატის გეროლდმეისტერი).

შერბატოვის ყველაზე სერიოზული ისტორიული თხზულება გახდა ,,რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან" (История Российская от древнейших времен), ავტორმა მასზე მუშაობა დაიწყო 1760-იანი წლების II ნახევრიდან და არ შეუწყვეტია სიცოცხლის ბოლომდე. თუმცა ვერ შეძლო ჩანაფიქრის შესრულება და თხრობის მიყვანა პეტრე I-ის დრომდე, შერბატოვის ისტორია წყდება არეულობის ხანის მოვლენებზე. ავტორის თხზულებას ჰქონდა საკმაოდ რთული სტრუქტურა, შედგებოდა შვიდი ტომისგან, რომელთაგან თითოეული იყოფოდა ნაწილებად და წიგნებად, ყოველი წიგნი - თავებად, რომელიც შეესაბამებოდა ცალკეულ სამთავროებს. ამასთან ისტორიკოსმა ჩათვალა საჭიროდ ტექსტისთვის დაერთო სპეციალური ,,დამატება" ,,Рассмотрение о состоянии России ее законов обычаев и правлений" ანუ მოეცა ნარკვევი ქვეყნის შიდა მდგომარეობაზე (მართალია მხოლოდ ერთხელ გაკეთდა იური დოლგორუკის შესახებ თხრობის შემდეგ, თუმცა ტრადიცია ისტორიოგრაფიაში გაჩნდა).

წარსულის საკუთარი პერიოდიზაცია ერთიანი სახით შერბატოვს არსად მოუცია, მაგრამ შეიძლება გამოყოფა მისი ,,ისტორიის" სტრუქტურის მიხედვით. პირველი ტომი მოდის იაროსლავ ბრძენამდე. შერბატოვი არ აყენებდა ეჭვქვეშ რიურიკის მოწვევას, მაგრამ ყურადღებას აქცევდა იმას, რომ ვარიაგები დათანხმდნენ ამ წინადადებაზე უხალისოდ, რადგან მთავრის ხელისუფლება მოიცავდა პირველ ყოვლისა საზღვრის დაცვის ვალდებულებას. შემდგომ თხრობისას ის განსაკუთრებულად ჩერდება კიევის მთავრების მემკვიდრეობის საკითხზე, უცნაურს უწოდებდა ძმიდან ძმაზე და არა მამიდან შვილზე მმართველობის გადაცემის წესს და ხსნიდა ამას მოქალაქეთა ზეგავლენით, რომლებსაც სურდათ ხელისუფლებაში ეხილათ მოწიფული მამაკაცი ვიდრე პირტიტველა მთავარი. მდგომარეობა რუსეთის გაქრისტიანებამდე შერბატოვის მიერ გამოხატული იყო როგორც უკიდურესად პრიმიტიული და მხოლოდ ვლადიმირის მიერ ქრისტიანობის მიღებამ შეცვალა ძირეულად რუსეთის განვითარება. თავადი ორიგინალურად ხსნიდა იმას თუ რატომ არ ჰქონდათ სლავებს საკუთარი მითოლოგია. ასე მისი აზრით მოხდა იმიტომ, რომ რუსი ხალხი უვიცობა–უმეცრების მდგომარეობიდან გადავიდა უმაღლეს კულტურაზე

(ქრისტიანობა) არა თანდათანობით არამედ მყისიერად. მას ეჭვი ეპარებოდა ზოგიერთი მატიანის სიუჟეტის ჭეშმარიტებაში, მაგალითად სვამდა კითხვას შეიძლებოდა ბიზანტიის იმპერატორს ეთხოვა თითქმის 70 წლის კნიგინია ოლგას ხელი მისი კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს?

მეორე ტომი იწყება რუსული მიწების პოლიტიკური დაქუცმაცებულობის დროიდან რომელიც დადგა იაროსლავ ბრძენის გარდაცვალების შემდეგ და მიჰყავდა ტექსტი თათარ მონღოლთა შემოსევამდე. ავტორმა რბილად შეაფასა იაროსლავის მიერ რუსული მიწების შვილებს შორის გაყოფის შედეგი იმით, რომ გაყო რა მიწები დიდმა მთავარმა უმაღლესი ხელისუფლება გადააბარა უფროს ძეს. ცალკეულ სამთავროებად რუსეთის დაქუცმაცებაზე უფრო დამღუპველი როლი შერბატოვის აზრით ჰქონდა ქალაქების თვითნებობას, მოქალაქეების გადაწყვეტილებით მთავრების არჩევას და შეცვლას. ამიტომ ისტორიკოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ანდრეი ბოგოლუბსკის მმართველობას, რომლისგანაც მისი აზრით დაიწყო მთავართა თვითმპყრობელობის აღორძინება და სახელმწიფოს განმტკიცება.

მესამე ტომი მოიცავდა პერიოდს თათარ მონღოლთა შემოსევებიდან დიმიტრი დონელის მთავრობამდე, საინტერესოა, რომ საუბრობდა რა ურდოს გამარჯვებების მიზეზებზე შერბატოვი სრულებით არ ეხებოდა პოლიტიკურ არეულობებს და ქვეყნის დაქუცმაცებულობას, უთითებდა პირველყოვლისა რუსული ჯარების შემადგენლობის არაერთგვაროვნებას და ბუნებრივ კატაკლიზმებს (მორალური დათრგუნვა მოულოდნელი მიწისძვრის შედეგად, მზის დაბნელება, კომეტის გამოჩენა და სხვა სასწაულები).

მეოთხე ტომში მოცემულია თათართა უღელთან ბრძოლის ისტორია დიმიტრი დონელიდან ივანე III-მდე რომელსაც ავტორი თვლიდა ჭეშმარიტად უდიდეს ხელმწიფედ.

მეხუთე ტომში გაშუქებულია ,,მეფეთა პერიოდი'' რომელიც შერბატოვმა ტატიშევისგან გასხვავებით დაიწყო არა ივანე III არამედ ივანე IV-ით. ამ უკანასკნელის მთელ მეფობას ყოფდა ორ ნახევრად ოპრიჩნინამდე და მის შემდეგ. (შემდეგ კარამზინმაც აიტაცა ეს)

მეექვსე ტომი ასრულებდა რიურიკთა დინასტიის ისტორიას, რომელიც შეწყდა თევდორე ივანეს ძის გარდაცვალებით 1598 წელს.

მეშვიდე ტომი დაუსრულებელი დარჩა, მაგრამ უნდა მოეცვა პერიოდი არეულობის ხანიდან მიხეილ რომანოვის არჩევამდე. სინამდვილეში მისულია ვასილი შუისკის ტახტიდან ჩამოგდებამდე (1610).

ტატიშევის ,,რუსულ ისტორიის'' შემდეგ შერბატოვის ისტორია იყო რუსეთის წარსულის შესახებ ფართო გამოკვლევის შექმნის ახალი მცდელობა. შერბატოვის ნაშრომი განსხვავდებოდა ტატიშევის ნაშრომისგან იმით, რომ იყო არა მხოლოდ მატიანეთა კრებული კრიტიკის ელემენტებით, არამედ ერთიანი ისტორიული მოთხრობა, პირველად რუსულ ისტორიოგრაფიაში დაწვრილებითი პრაგმატული თხრობა რუსული ისტორიის, დაფუძნებული ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზაზე. ასე თავისი ისტორიის III და IV ტომებს შერბატოვმა დაურთო 300 აქტზე მეტი რომელთა შორის იყო მიმოქცევაში პირველად შემოტანილი სიგელები დიდი ნოვგოროდის, მოსკოველი მთავრების სახელშეკრულებო სიგელები და ხანების იარლიყები.

ისტორია არ მოდიოდა პეტრე I დრომდე, მაგრამ შერბატოვი ახასიათებდა პირველ რუს იმპერატორს და მის ცვლილებებს რიგ სხვა ნაწარმოებებში. თავადი ცდილობდა ეჩვენებინა პეტრეს პოლიტიკის როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები და ობიექტურად შეეფასებინა იგი. ის აღიარებდა, რომ მეფე ,,საჭიროებამ აიძულა ყოფილიყო დესპოტი'', მაგრამ პეტრეს დროს გახდა საპატიო არა გვარი არამედ ჩინი, დამსახურება და მსახურება,

რამაც სახელმწიფო მიიყვანა მექრთამეობის და უკანონობის დამღუპველ შედეგებამდე, რითაც დაზიანდა ზნეობა.

სწორედ ზნეობით ჩვეულებებით და გარემოებებით შერბატოვი ხსნიდა თვითმპყრობელის სიუხეშეს, რაც შეეხება ცვლილებებს ის იყო პეტრე I-ის პირადი საქმე და არ ყოფილა განპირობებული სხვა მიზეზით.

თავადი ცდილობდა დაეცვა კრიტიკული მიდგომა ისტორიული წყაროსადმი და შეიმუშავა კიდეც საკუთარი წესი რომლითაც აფასებდა ძველ დოკუმენტებში დაცული ცნობების უტყუარობას და ობიექტურობას.

შერბატოვის შრომის ნაკლი არის ის, რომ თხრობის ძალიან მძიმე სტილი აქვს რაც ართულებს მის კითხვას. ამასთან გვხვდება ფაქტობრივი შეცდომებიც. ის ურევდა მაგალითად ვლადიმირ სუზდალს და ვლადიმირ ვოლინსკს და სხვა.

ბოლოს ისტორიოგრაფიის განვითარებაში შერბატოვის წვლილზე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მისი მცდელობების შედეგად იქნა პირველად გამოცემული ძვირფასი ისტორიული წყაროები მათ შორის ,,Царственный летописец" ,,Царственная книга" და სხვა.

შერბატოვი ისტორიას განმარტავდა როგორც მიზეზთა მეცნიერებას ხოლო ისტორიკოსის ამოცანად მიაჩნდა ,,გამოიძიოს საქმეთა (ქმედებათა) მიზეზები"...

ივანე ნიკიტას ძე ბოლტინი (1735-1792) შერბატოვისგან განსხვავებით კი მიეკუთვნებოდა თავადაზნაურთა ფენას, მაგრამ არა ტიტულირებულ დიდებულთა გვარს. დაიბადა ნიჟეგოროდსკის გუბერნიაში საგვარეულო მამულში, მიიღო კარგი განათლება სახლში, მსახურობდა ცხენოსანთა გვარდიის პოლკში სადაც გაიცნო გრიგორი პოტიომკინი. ერთი პერიოდი იყო ვასილკოვსკის საბაჟოს უფროსი და კარგად გაიცნო უკრაინა. მსახურობა დაასრულა სამხედრო კოლეგიის გენერალ-პროკურორის ჩინით.

ბოლტინი განსაკუთრებულ ინტერესს ავლენდა რუსეთის ისტორიისადმი, მთელი ცხოვრება და სწავლობდა შეუპოვრად, კითხულობდა რა სამამულო და დასავლეთ ევროპული ისტორიულ ლიტერატურას, აკეთებდა უამრავ ჩანაწერს და საბოლოოდ გახდა რუსეთის წარსულის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე.

მის ისტორიულ-სამეცნიერო ნიჭის გამოვლენას ერთი შემთხვევა დაეხმარა. 1783-1792 წწ. საფრანგეთში გამოვიდა ექვსტომეული რუსეთის ისტორია, ,,Естественная нравственная, гражданская и политическая древняя и новая история России" რომლის ავტორი იყო ნ. ლეკლერკი. ნაშომი შესრულებული იყო არაკეთილსინდისიერად, მტრულად რუსეთის მიმართ და უამრავ შეცდომას შეიცავდა. მისი ავტორი თითქმის 10 წელი ცხოვრობდა რუსეთში და ერთხანს პავლე პეტრეს ძის მკურნალი ექიმიც კი იყო. ზიზღი რომლითაც ლეკლერკი წერდა რუსეთის შესახებ თვით ეკატერინე II-ც ,,აღაშფოთა", ნაშრომი მოითხოვდა დამაჯერებელ პასუხს. ეკატერინე II-ის სურვილის შესახებ იცოდა პოტიომკინმა, რომელმაც მიაწოდა ბოლტინს იდეა ,,შეპასუხებოდა" ლეკლერკს. შედეგად ბოლტინმა დაწერა ორტომეული (Примечания на историю древняя и нынешняя России г. Леклерка, сочиненные генерал-майором Болтиним) რომელიც გამოიცა იმპერატორის პირადი ხარჯებით.

აკრიტიკებდა რა ლეკლერკს ბოლტინი ნებსით თუ უნებლიედ შეეხო შერბატოვსაც, ამიტომ ბოლტინის კრიტიკულ შენიშვნაზე გაჩნდა ჯერ თავად შერბატოვის წერილი (Письмо князя Щербатова сочинителя Российской истории к одному его приятелю в опровдания на некоторые сокрытые и явные охуления учиненные его истории от господина генерал-майора Болтина творца Примечании на историю древняя и нынешняя России Леклерка) და კიდევ (Примечания на ответ господина генерал-майора Болтина на письмо князя Щербатова сочинителья Российской истории також истинные оправдания и прямые доказательства против его возражений критики и охулений). ბოლტინმა დაუყოვნებლივ უპასუხა შერბატოვს (180

გვერდი პასუხი გენერალ მაიორის ბოლტინისა თავად შერბატოვის წერილზე) შემდეგ შეადგინა ,,გენერალმაიორ ბოლტინის კრიტიკული შენიშვნები თავად შერბატოვის ისტორიის I და II ტომებზე'' ორივე ნაწილი ამ ნაშრომის გამოჩნდა უკვე თვითონ დისკუსიის მონაწილეთა გარდაცვალების შემდეგ 1793-1794 წწ.

კრიტიკული ნაშრომების საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ ბოლტინის მსოფლმხედველობა. ბოლტინმა ჩამოაყალიბა ისტორიის ამოცანების საკუთარი ხედვა, პირველყოვლისა ის მოითხოვდა ისტორიული წყაროების და ფაქტების კრიტიკული შერჩევას და პრინციპული სხვაობის დადგენას სამეცნიერო გამოკვლევას და მემატიანის უბრალო თხრობას შორის. ....

ბოლტინი გამოდიოდა სპეციალური ისტორიული დისციპლინების ისტორიული გეოგრაფიის და ეთნოგრაფიის ჩამოყალიბების მომხრედ აღნიშნავდა რა, რომ აუცილებელია იცნობდე ქვეყანას და ხალხს რომლის ისტორიასაც წერ. მისთვის ნაცნობი იყო სხვადასხვა ხალხების ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა ერთნაირობის იდეა, ის წერდა: ,,ყველა დროში და ყველა მხარეში ადამიანებს, იმყოფებოდნენ რა მსგავს მდგომარეობაში ჰქონდათ ერთნაირი ზნე (ნირი, ხასიათი) ამ იდეასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული შედარებით-ისტორიული მეთოდი, რომელსაც სწავლული საკმაოდ ხშირად იყენებდა თავის ნაშრომებში.

რაც შეეხება ბოლტინის მოსაზრებებს უშუალოდ რუსეთის ისტორიასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ის კარგად იცნობდა წინამორბედთა შრომებს, მაგრამ ამავე დროს ავითარებდა რიგ ახალ იდეებს და მიდგომებს. მაგალითად ლომონოსოვის მსგავსად ამტკიცებდა, რომ რიურიკამდე სლავებში არ იყო ისეთი ,,სიბნელე'' როგორსაც წარმოადგენენ უცხოელი მწერლები. ძველი რუსი თავადების სისასტიკეს და უზნეობის შესახებ ლეკლერკის თხრობას უპირისპირებდა ცნობებს საფრანგეთის ადრეული ისტორიის საშინელებებს და სისხლიან ისტორიებს. საინტერესოა ბოლტინის შენიშვნები ვარიაგების შესახებ, ,,რუსებზე უფრო განათლებული ისინი არ ყოფილან'', ქცევის წესით, მმართველობით და ა.შ. რუსები ისეთივე იყვნენ როგორც გერმანელები, ბრიტანელები ფრანგები. ამასთან ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ რუსეთი განსხვავებულია ევროპის ქვეყნებისგან და ბუნებრივია მისი ბუნების, უზარმაზარი სივრცის, და მოსახლეობის მცირერიცხოვნების გამო.

თამამი და ორიგინალური იყო ბოლტინის შეხედულება რუსეთის ,,მოქცევაზე''. ის არ ეთანხმებოდა შერბატოვს, რომ ქრისტიანობა რუსეთში მშვიდობიანი გზით გავრცელდა. ამბობდა, რომ ის ძალით ინერგებოდა და აწყდებოდა სლავი ტომების წინააღმდეგობას. კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა შერბატოვი მისი მცდელობის გამო შეემსუბუქებინა რუსეთის ისტორიაში დაქუცმაცებულობის დამღუპველი როლი, თვითონ ბოლტინი მონღოლთა უღელის მთავარ მიზეზად განხილავდა ქვეყნის დაყოფას რამდენიმე ნაწილად ასევე ,,კავშირების არქონას'' და ,,ზიზღს მთავრებს შორის''.

საინტერესოა ისტორიკოსის აზრი ფეოდალიზმზე, რომლის გაჩენას უკავშირებდა სახელმწიფო წყალობებს და მემამულეების მიერ მიწის სამემკვიდრო ,,ვოტჩინებად'' (სამემკვიდრეო მამული) ქცევას. ფეოდალიზმი დამახასიათებელი იყო ყველა ევროპელი ხალხებისთვის, ის განმანათლებელი ფილოსოფოსების მსგავსად ამ პერიოდს ადამიანის გონების დაცემის პერიოდად მიიჩნევდა.

XVIII საუკუნის სხვა ისტორიკოსების მსგავსად ბოლტინი ამტკიცებდა, რომ მმართველობის საუკეთესო ფორმა არის მონარქია. ამასთან აღიარებდა, რომ ის შეიძლება იქცეს დესპოტიად (რუსეთისთვის ეს არის ივანე მრისხანეს პერიოდი). საუბრობდა რა სახელმწიფო პოლიტიკაზე ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ მასში აუცილებელია სიფრთხილე, ხოლო რეფორმების გატარებაში - თანმიმდევრულობა, ამიტომ პეტრეს რეფორმები მას

ესახებოდა გაუაზრებლად და უზომოდ რადიკალურად: ,,მოინდომეს რამდენიმე წელიწადში იმის გაკეთება რასაც სჭირდება საუკუნეები''. სამაგიეროდ მისი აზრით ეკატერინე II მიმართავს ზომებს გამოასწოროს პეტრეს დროს დაზიანეული ზნეობა.

ტატიშევის მსგავსად ბოლტინი დაკავებული იყო რუსი გლეხობის და დაყმევების პრობლემის შესწავლით. ის ამტკიცებდა, რომ გლეხები სარგებლობდნენ გადაადგილების სრული თავისუფლებით XVI საუკუნის ბოლომდე, ხოლო დაყმევების ძირითადი ეტაპები უკავშირდება ,,იურიევის დღეს'' (1597) და ბოლოს პეტრე I დროს განხორციელებულ ცვლილებებს რამაც გამოიწვია გლეხების ყმებთან შერწყმა.

,,ლიტერატურული მიმდინარეობა რუსულ ისტორიოგრაფიაში''

XVIII საუკუნის II ნახევარში ისტორიით გატაცებამ ფართო გავრცელება ჰპოვა თვითონ ეკატერინე II-ც თხზავდა ისტორიულ ოპუსებს. მისი ,,ჩანაწერები რუსეთის ისტორიაზე'' გამოდიოდა ნაწილ-ნაწილ 1783 წლიდან.

ამ წლებში ისტორიოგრაფიაში ყალიბდება თავისებური ლიტერატურული (რიტორიკული) მიმართულება. მისი მიმდევარი იყო ჟურნალისტი და საგარეო საქმეთა კოლეგიის მთარგმნელი ფედორ ალექსანდრეს ძე ემინი (1735-1770). მან გამოაქვეყნა სამტომეული ,,რუსეთის ისტორია'' სადაც ფართოდ იყენებდა ისეთ ლიტერატურულ ხერხს როგორიცაა თხრობის დრამატიზება, შეჰქონდა ტექსტში ისტორიული პერსონაჟების მოგონილი სიტყვები, ეყრდნობოდა გამოგონილ წყაროებს. ემინი ანტინორმანისტი იყო, რიურიკის წარმომავლობა ავგუსტუსიდან გამოჰყავდა, ენდობოდა ცნობას, რომ მოციქული ანდრია იყო კიევში და ა.შ.

თხრობის ლიტერატურული სტილი ავტორს საშუალებას აძლევდა გამოეხატა ,,შედეგი რომელიც შეიძლება არ იყო, მაგრამ ადვილად შეიძლებოდა ყოფილიყო'', რაც რა თქმა უნდა ამცირებდა მისი თხზულების სანდოობას, მაგრამ მეორეს მხრივ თუ გავიხსენებთ რა ძნელი ენით იწერებოდა ნამდვილი ისტორიული ნაშრომები ემინის ბელეტრისიტიკამ ითამაშა თავისი დადებითი როლი, რომ გაუღვიძა ინტერესი ფართო მკითხველს მშობლიური ქვეყნის მიმართ.

ისტორიით იყვნენ დაკავებული ი. ელაგინი (1725-1794) რომელსაც თავისი საქმიანობიდან გამომდინარე უნდა მოემარაგებინა ეკატერინე II ისტორიული სიუჟეტებით მისი თხზულებებისთვის, შედეგი იყო მის მიერ შედგენილი ,,Опыт любопитного и политического о государстве российском повествования'' რომელიც ავტორის გარდაცვალების მერე გამოიცა და გამოიწვია ა. შლიოცერის საკმაოდ მკვეთრი კრიტიკა და ნ. კარამზინის უარყოფილი გამოხმაურება.

ახალი ტენდენციები რუსულ ისტორიოგრაფიაში XVIII II ნახევარში.

XVIII საუკუნეში განსაკუთრებით კი II ნახევარში პირთა რიცხვი რომელიც წერდა ისტორიულ ნაწარმოებებს გაიზარდა. თავადაზნაურთა მონოპოლია ისტორიაზე დასრულდა, ახალი ტენდენციები გამოჩნდა რუსულ ისტორიოგრაფიაში სადაც აქამდე სახელმწიფო მონარქისტულ თემატიკას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. XVIII საუკუნის II ნახევარში გამოჩნდა ნაშრომები რომლებშიც განხილული იყო ვაჭრობის, მრეწველობის, რუსეთის ქალაქების ისტორია ა.შ.

ახალი მიმართულების სათავეებთან იდგა ივანე ივანეს ძე გოლიკოვი (1735-1801). გაკოტრებული კურსკელი ვაჭრის ოჯახიდან გამოსული, თვითონ შეუმდგარი ვაჭარი გოლიკოვი გახდა უზარმაზარი 30 ტომიანი ნაშრომის ავტორი პეტრე დიდის შესახებ. (გადმოცემით გოლიკოვი ბრალდებული იყო სავაჭრო ამბებთან დაკავშირებით და უნდა გადაესახლებინათ ციმბირში, შეიბრალეს პეტრე დიდის ძეგლის გახსნის დღეს და მან

პეტრეს ძეგლის წინა დაჩოქილმა დაიფიცა, რომ დაწერდა პირველი იმპერატორის დაწვრილებით ისტორიას).

გოლიკოვის ნაშრომის 12 ტომი მოიცავდა პეტრე დიდის საქმიანობას და ცვლილებებს რუსეთში, ხოლო 18 ტომი იყო დამატებები. ამ გამოკვლევაში რომელიც იბეჭდებოდა 1788-97 წწ. პეტრე I მოღვაწეობა განიხილებოდა აბსოლუტური მონარქიის მომხრის და ვაჭართა ინტერესების დამცველის პოზიციიდან. ახასიათებდა რა პირველი რუსი იმპერატორის ეკონომიკურ პოლიტიკას, გოლიკოვი იკვლევდა მანუფაქტურების ისტორიას, საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებას, რუბლის მტკიცე კურსის უზრუნველყოფის საკითხებს და ა.შ.

გოლიკოვი წარმოადგენდა პეტრე I-ის აპოლოგეტური ტრადიციის გამგრძელებელს რაც საკმაოდ მტკიცედ იყო ფესვგადგმული ისტორიულ ლიტერატურაში. მისი აზრით მეფის პოლიტიკა სრულად პასუხობდა ხალხის ინტერესებს ,,მართლმსაჯულების წინაშე იყო ყველა თანასწორი ... მდიდარი თუ ღატაკი, წარჩინებული თუ მდაბიო, უცხოელი თუ ადგილობრივი, ერთნაირად გრძნობდა სამართალს, პეტრეს ტახტი იყო სამართლიანი ტახტი”.

გოლიკოვის მთავარი დამსახურება იყო ის, რომ შეაგროვა პეტრეს მეფობის დროინდელი მრავალრიცხოვანი საარქივო და ნაბეჭდი წყარო. დაამუშავა უამრავი სახალხო გადმოცემა და ანეგდოტი მის შესახებ.

შრომების საკმაო რაოდენობა რომელიც ეძღვნებოდა ადგილობრივი ისტორიის და ეკონომიკის თემატიკას შექმნა ასევე სავაჭრო წრიდან გამოსულმა ვასილი ვასილის ძე კრესტინინმა (1729-1795). მისი ნაშრომი შეეხებოდა პეტრე დიდის დროინდელ საგარეო ვაჭრობას (Исторический опыт о внешней торговле Петра Великого), ხოლო ხოლმოგორის და არხანგელსკის მოკლე ისტორიაში მიმართავდა მშობლიური კუთხის წარსულს, ამით საფუძველს ეყრებოდა ისტორიულ მხარეთმცოდნეობას. გარდა ამისა კრესტინინს აინტერესებდა ცაკლეული გვარების ბედი, რომლებსაც არ ჰქონდათ თავადის ტიტული და თავადაზნაურული ღირსება, მაგრამ გამოირჩეოდნენ თავისი წრიდან. ასეთი იყო მაგალითად შეძლებული გლეხების გვარი ვახონინი-ნეგოდიაევი, რომლებიც გახდნენ მდიდარი ვაჭრები და მიწის შემსყიდველები ასევე ეჭირათ საერობო უხუცესების და ,,გამოსაღების ამკრეფის” პოსტები. უძველესი აქტების საფუძველზე, რომლებიც ინახებოდა გლეხთა ოჯახებში მის მიერ შედგენილ იქნა ,,Исторический опыт о сельском старинном домостроительстве Двинского народа в севере”

ადგილობრივი ისტორიით იყო დაინტერესებული მეცნიერებათა აკადემიის პირველი რუსი წევრ-კორესპონდენტი (ასევე ვაჭრების წრიდან გამოსული) პეტრე ივანეს ძე რიჩკოვი (1712-1777) მან შეადგინა ორენბურგის ისტორია: ,,ორენბურგის მხარის ტოპოგრაფია” ,,ყაზანის ისტორიის მცდელობა ძველი და შუა დროს” ,,ექვსთვიანი ორენბურგის ალყის აღწერა” მიმართა პუგაჩოვის აჯანყების გააზრებას. მნიშვნელოვანი მოვლენა ისტორიულ მეცნიერებაში გახდა მიხეილ დიმიტრის ძე ჩულკოვის (1743-93) ნაშრომი ,,რუსული ვაჭრობის ისტორიის აღწერა ყველა პოსტზე და საზღვარზე უძველესი დროიდან თანამეროვეობამდე”. ნაშრომი შედგებოდა 7 ტომისგან (21 წიგნი 14000 გვერდი) და გამოვიდა 1781-1786 წწ. ის ატარებდა ისტორიულ ეკონომიკურ ხასიათს და თავისი თემატიკით აქ განხილული იყო არა მხოლოდ ვაჭრობის ისტორია არამედ მრეწველობის, ტრანსპორტის, ფინანსების და ა.შ. იძლეოდა პრაქტიკულ ცნობებს ვაჭრობის წარმოების წესზე სხვადასხვა პორტებში. მასვე ეკუთვნის 1788 წ. ნაშრომი ,,რუსული ვაჭრობის მოკლე ისტორია” ქრონოლოგიური ცხრილით. ამას გარდა ჩულკოვი ცნობილია როგორც შემგროვებელი და გამომცემლი რუსული ხალხური ზღაპრების, 1767 წ. მან გამოსცა ..მოკლე მითოლოგიური ლექსიკონი”. შემდეგ ,,რუსული ცრურწმენის ანი და ბანი”.

რუსულ ისტორიოგრაფიაში განმანთლებლური ეპოქის წარმომადგენლებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ პირველი რუსი სამართლის პროფესორები სემიონ ეფიმის ძე დესნიცკი (1740-1789) და ივანე ანდრეის ძე ტრეტიაკოვი (1735-1779). მოსკოვის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მათ განათლება განაგრძეს გლაზგოში სადაც ისმენდნენ ადამ სმიტის ლექციებს, მიიღეს აქ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო სამშობლოში დაბრუნებული ასწავლიდნენ მოსკოვის უნივერსიტეტში.

დესნიცკის შეხედულებებზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მისი რამდენიმე წარმოთქმული სიტყვიდან, რისგანაც პრინციპში შედგება მისი სამეცნიერო-ლიტერატურული მემკვიდრეობა: ,,სიტყვა იურისპრუდენციის შესწავლის პირდაპირი და ახლო ხერხების შესახებ" ,,იურიდიული მსჯელობა სხვადასხვა ცნებებზე რომლებიც აქვთ ხალხებს საკუთრების შესახებ" და ა.შ. მათში დესნიცკი გამოხატავს, რომ ადამიანის ბუნების უმნიშვნელოვანესი თვისება არის მუდმივი მცდელობა ,,უკეთესი ცხოვრებისკენ". ამან გამოიწვია ის, რომ კაცობრიობამ თავისი ისტორიის განმავლობაში გამოიცვალა თანმიმდევრული ეტაპები. დესნიცკის მიხედვით ასეთი იყო ოთხი: 1) ნადირთა ჭერის და ნაყოფის შეგროვების მდგომარეობა, 2) მესაქონლეობა 3) ხვნა თესვის მდგომარეობა 4) სავაჭრო მდგომარეობა. ყველა ეს პერიოდი კანონზომიერად ვითარდება წინამორბედისგან და ყოველ მათგანს შეესაბამებოდა საკუთრების განსაკუთრებული ფორმა. პირველ ეტაპზე როგორც წერდა დესნიცკი ნივთების ყველასთვის საერთოა, ამიტომ საკუთრების უფლება იყო განუვითარებელი ,,მწყემსობის ეტაპზე" ვითარდება მფლობელობის ფორმა. მიწათმოქმედების პერიოდი ხასიათდება მიწაზე კერძო საკუთრების ჩასახვით, მაგრამ მიწის გასხვისების ცნების გარეშე. ქონებრივი ურთიერთობები დასრულებულ ფორმას იღებს მხოლოდ სავაჭრო მდგომარეობაში. ქონებრივი ურთიერთობების განვითარებასთან დესნიცკი განიხილავდა ოჯახური ურთიერთობების ჩამოყალიბებასაც. ოჯახი მისი აზრით ჩნდება ,,მწყემსობის" სტადიაზე და ხასიათდება ქალების მონური მდგომარეობით და მრავლცოლიანობით. შემდგომი ცვლილება ცოლქმრულ ურთიერთობებში ხდება ხვნა-თესვის მდოგომარეობაში შემდეგ კი სავაჭრო. საკუთრების უფლების განვითარებასთან დესნიცკი აკავშირებდა თვითონ სახელმწიფო მმართველობის წარმოშობას და ა.შ.

ტრეტიაკოვის მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მოსაზრებები შრომის განაწილების შესახებ. შრომის განაწილება ავტორს ესმოდა როგორც ისტორიული მოვლენა რომელიც იწვევდა საწარმოო საქმიანობის მნიშვნელოვან სრულყოფას, მრეწველობის ზრდას და ხელოსნების და მეწარმეების გამდიდრებას, შრომის განაწილებასთან იყო დაკავშირებული სოციალური დაყოფა ბატონი - მოსამსახურე. ამასთან ისტორიკოსი გამოდიოდა თავისუფალი შრომის მომხრედ და ბატონყმური ურთიერთობების მოწინააღმდეგედ.

<u>რადიშევი და რვოლუციური ისტორიოგრაფიის დასაწყისი</u>.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე რადიშევს (1749-1802) სპეციალური ისტორიული შრომა, გარდა დაუსრულებელი ციმბირის მოპოვების შესახებ ნაშრომისა არ დაუტოვებია, მაგრამ მის პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწარმოებებში არის მრავალრიცხოვანი მოსაზრებები ისტორიის საკითხებზე, რის საფუძველზეც შეგვიძია ვიმსჯელოთ მის შეხედულებებზე წარსულის შესახებ. გარდა ამისა რადიშევის სახელი მტკიცედ დამკვიდრდა ისტორიოგრაფიაში, რამდენადაც საბჭოთა პერიოდში სწორედ რადიშევიდან იწყებოდა ცალკე რევოლუციური ეტაპის გამოიყოფოდა რუსული ისტორიულ მეცნიერებაში.

რადიშევთან ისტორიული პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ხალხის ბრძოლა თავისუფლებისთვის. ის არ თვლიდა თვითმპყრობელობას რუსული სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ძველისძველ ფორმად და გამოთქვამდა ვარაუდს ხალხთა

მმართველობის არსებობის შესახებ არა მხოლოდ ძველ ნოვგოროდში არამედ სხვა ძველ რუსულ ქალაქებში. თავისუფალი ნოვგოროდისადმი მოაზროვნე განიცდიდა განსაკუთრებულ გრძნობებს ის ამბობდა, რომ იქ ხალხი თავის ,,ვეჩეზე'' შეკრებილი იყო ,,ჭეშმარიტი ხელმწიფე". აფასებდა რა ნოვგოროდის შეერთებას მოსკოვთან რადიშევი ამტკიცებდა, რომ ივანე III არ ჰქონდა უფლება ,,მიეთვისებინა ნოვგოროდი". რადიშევის შრომებიდან ჩნდება რუსულ ისტორიოგრაფიაში თეზისი რომელიც ნოვგოროდის თავისუფლებას, ხალხთა მმართველობას უპირისპირებდა დესპოტურ და სასტიკ თვითმპყრობელობას, რომელიც არ იყო დამახასიათებელი ძველი რუსული ტრადიციისთვის. რა თქმა უნდა რადიშევი იყო განმანათლებლური იდეის მატარებელი, რომელიც დამახასიათებელი იყო რუსული თავადაზნაურობისთვის XVIII საუკუნის II ნახევარში, მაგრამ მისი შეხედულებები განსხვავდებოდა ცნობილი რადიკალიზმით. ის არ აღიარებდა მონობას და ბატონყმობას (როგორც მის სახესხვაობას) როგორც საზოგადოების განვითარები აუცილებელ და კანონზომიერ საფეხურს. რადიშევის რევოლუციურობა ძირითადად გამოვლინდა მის თვითმპყრობელობისადმი დამოკიდებულებაში. აღიარებდა რა საზოგადოებრივი შეთანხმების თეორიას რადიშევი მის აზრს ხედავდა არა უსაზღვრო უფლებებში მოპოვებული ხელმწიფის მიერ არამედ არსებით ვალდებულებებში ხალხის წინაშე. რადიშევთან ხალხს შეუძლია ჩამოაგდოს მეფე რომელიც არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, არ იცავს თანასწორობას საზოგადოებაში და ა.შ.

როგორც განმანათლებელი რადიშევი დიდ როლს კაცობრიობის ისტორიაში ანიჭებდა დიდ პიროვნებებს რომელთა გამოჩენას ამზადებს თვითონ ისტორიის მსვლელობა რამდენადაც გარემოებები ქმნის დიდ ადამიანებს.

რადიშევის გულუბრყვილო და ხშირად ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებმა გადმოცემული მის ,,მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში" და სხვა აზრი იმის შესახებ, რომ ისტორია მოძრაობს ორი საზოგადოებრივი ძალის ბრძოლით- ხალხის მცდელობა თავისუფლებისკენ და ცალკეული პიროვნებების მცდელობა თვითმპყრობელობისკენ ფართო გამოძახილი ისტორიკოსებს შორის არ ჰქონია. რადიშევის სახელი მხოლოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ გახდა მოთხოვნადი, თუმცა მისმა იდეებმა უეჭველად დატოვა თავისი კვალი რუსული ფილოსოფიის ისტორიაში და საზოგადოებრივ აზრში, ასახვა ჰპოვა გერცენის ბელინსკის ჩერნიშევის და სხვა რევოლუციონერ-მატერიალისტებში.